

„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/03. 30.01.2019
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
ოქმი № 02-03-06/01. 26. 01. 2019 წ

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
ისტორია

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი: სულხან ალექსაია

ხიჭაური 2019

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი მისამართი შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური) ელ ფოსტა: tbelabuserisdze@gmail.com ვებგვერდი www.tbeli.ge
პროგრამის დასახელება	ისტორია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (110 კრედიტი სპეციალობის საგნები; 40 კრედიტი საუნივერსიტეტო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები; 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.
სწავლების ენა	მშობლიური – ქართულ ენა
ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:	<p>სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ;</p> <ul style="list-style-type: none"> • ჩამოუყალიბოს სტუდენტს მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც ეროვნული ისტორიის ფარგლებში, ისე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; • ისეთი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება, რომ კურსდამთავრებულებმა შეძლონ სწავლა გააგრძელონ განათლების შემდეგ საფეხურზე; • ხელი შეუწყოს სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ეროვნული იდენტობის ფორმირებას, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრებასა და პატივისცემას.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სწავლების შედეგები

ბაკალავრიატის სწავლის შედეგები		
კრიტერიუმები	ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება	აქვს: - ისტორიული მოვლენების, პრობლემების და ინტერესების ამა თუ იმ ეპოქის კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებასთან კავშირის გაცნობიერება და მათი დროში ცვალებადობის გაანალიზების უნარი; - საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა არა იზოლირებულად, არამედ კავკასიის რეგიონთან, მახლობელ აღმოსავლეთთან და იმ ცივილიზაციებთან მიმართებაში, რომლებთანაც ისტორიულად იყვნენ დაკავშირებულნი; - მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; - კვლევის საგნის დასახვისა და მცირემოცულობის ნაშრომის შექმნა; აცნობიერებს , რომ: წარსულის სრულფასოვანი და კრიტიკული გააზრება, გამოცდილების, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის და ზოგადად საზოგადოების განვითარების შესწავლა დროსა და სივრცეში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის, მსოფლიოში არსებული გამოწვევების (იგულისხმება გლობალიზაციის პროცესი), ადეკვატურად აღქმისათვის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად	შეუძლია: - ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და წყაროების კითხვა, სწორად კომენტირება, ანოტირება და გამოყენება; - ინფორმაციის მოძიების საშუალებების მფლობელობა (ბიბლიოგრაფიული, ზეპირსიტყვიერება, საარქივო, სამუზეუმო, ელექტრონული და ა.შ.) და მოძიებული ინფორმაციის გამოყენება;
დასკვნის უნარი	სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება	წერილობითი, ნივთიერი, ბიბლიოგრაფიული და სხვა სახის მონაცემების შეგროვებითა და გამოყენებით შეუძლია ისტორიის სხვადასხვა პრობლემებთან მიმართებაში შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი	<p>იდების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით გამართულიკომუნიკაცია ისტორიოგრაფიისათვის სახასიათო ტექნიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით, ისტორიოგრაფიული ტექსტებისდა წყაროების კითხვის უნარი; - უცხოურ ენაზე საშუალო მოცულობის ისტორიოგრაფიული ხასიათის ანგარიშისშედგენა და მისი ზეპირი ფორმით შესაბამისი აუდიტორიისათვის მიწოდება; -კომპიუტერული და ინტერნეტ რესურსების ფლობა ისტორიული მონაცემების დამუშავებისას
სწავლის უნარი	<p>საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა</p>	<p>შეუძლია: საკუთრი სასწავლო პროცესის ორგანიზება, ინფორმაციისა და დროის ეფექტური გამოყენების გზით.</p> <p>აქვს: დამოუკიდებლად სწავლის უნარი; მიღებული ცოდნის მუდმივად განახლების უნარი; ახალი ცოდნისა და უნარჩვევებისმიღების,გადამუშავებისა და შეთვისების,ასევესპეციალური ლიტერატურის გამოყენების უნარი;</p>
ღირებულებებ	<p>ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p>	<p>შეუძლია სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ეროვნული, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრება და პატივისცემა, ასევე ამ ღირებულებების საზოგადოებაში დამკვიდრება.</p>

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მათემატიკური ჩართულობას სასწავლო პროცესში.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, რომელიმე ისტორიული მოვლენის ან კონფლიქტური რეგიონის ანალიზი და ა. შ.

- **სიტუაციური ანალიზი** - ანალიზისა და სინთეზის უნარის გამოყენების მიზნით, ისტორიული პრობლემების გამოსაკვეთად, ლექციებზე გამოყენებული იქნება სიტუაციური ანალიზის ისტორიოგრაფიული ნაშრომების ან კრებულებში გამოქვეყნებული სტატიების გამოყენებით.

- **დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. სტუდენტს მასალა მიეწოდება აუდიო და ვიდეო საშუალებებით. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესორ-მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური; ამავ დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლებელია მარტივ სახესატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, ისტორიული ხასიათის დოკუმენტური ფილმების ჩვენება.

- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი**-

• **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

• **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

• **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვებმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

• **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში. განსაკუთრებით აქტუალურია დოკუმენტურ და ნივთიერ მასალასთან მუშაობის მეთოდი, რაც გულისხმობს საარქივო დასამუშევრო დაწესებულებებში დაცულ ისტორიულ წყაროებზე, ნივთიერ მასალაზე და დოკუმენტზე მუშაობის მეთოდით გარკვეული ისტორიული სახის ნაშრომის შექმნას. პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება ველზე, სამუშევრო ფონდებსა თუ არქეოლოგიურ ბაზებში, რათა სტუდენტს ჩამოეყალიბდეს არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობისა და აღმოჩენილი მასალის პირველადი ფიქსირების უნარ-ჩვევები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მიმდინარე შეფასებას – 60 ქულა (მიმდინარე აქტივობა და შუალედური გამოცდა) და ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას – 40 ქულა.

მიმდინარე შეფასებიდან 40 ქულა ეთმობა სტუდენტის მიმდინარე აქტივობას (სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული და ა. შ.) აქტივობის სახე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, რაც განისაზღვრება კონკრეტული სილაბუსის მიხედვით. მიმდინარე შეფასებიდან 20 ქულა ეთმობა შუალედურ გამოცდას. სულ სემესტრის განმავლობაში ტარდება არაუმეტეს ორი შუალედური გამოცდა მე-7/8 კვირებში და მე-14/15 კვირებში. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად (თითოეულის მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა). მიმდინარე შეფასება 5-ქულიანია.

დასკვნითი გამოცდის შეფასებას ეთმობა მაქსიმუმ 40 ქულა.

სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულა,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:

ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტიმუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელგასვლის უფლება.

ზ) (F-0) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX) ან არ გამოცხადდა გამოცდაზე საპატრიარქო მიზეზით (უწყისში დაფიქსირებულია „არგამოცხადება“ და სტუდენტი დეკანატში წარადგენს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატრიარქო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს) უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და მიმდინარე შეფასებების ჯამით მიიღო „ჩაიჭრა“, „ვერ ჩააბარა“ ან „არ გამოცხადდა“, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F-0) ჩაიჭრა“ შეფასებით.

სასწავლო კურსში/მოდულში „(F-0) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში დამატებით გაიაროს ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნის დარეგისტრირების მიზნით.

დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების კრიტერიუმების შესახებ აღწერილია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით (კრიტერიუმები: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა, გადმოცემის უნარი – 15 ქულა, სიახლე – 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა). მისი გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

ადამიანური რესურსი

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს:

1. **ნუგზარი ზოსიძე**-ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი (საქართველოს ისტორია, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია);
2. **თემური ტუნაძე**-ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი (დამხმარე ისტორიული დისციპლინები)
3. **როინ მალაყმაძე**-ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი (საქართველოს ისტორია);
4. **ტარიელ ებრაღიძე**-ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი (საქართველოს არქეოლოგია, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია);
5. **ნაილა ჩელეაძე**- ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი (საქართველოს ისტორია, საქართველოს ეთნოლოგია);
6. **სულხან ალექსაია** - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (საქართველოს ისტორია, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ქართული დიპლომატიის ისტორია);
7. **ოლეგ ჯიბაშვილი**-ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (საქართველოს ისტორია);
8. **ლაშა ასლანიშვილი**- ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (საქართველოს ისტორია);
9. **ნარგიზ სურმანიძე**-ისტორიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია, საისტორიო გეოგრაფია);
10. **გუგული კუკულაძე**- ისტორიის დოქტორი (საქართველოს ისტორია);
11. **ავთანდილ დიასამიძე**-ისტორიის აკადემიური დოქტორი (საქართველოს ისტორია);
12. **ლაშა ბაჟუნაიშვილი** - ისტორიის დოქტორი (შუა საუკუნეების ისტორია, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია);
13. **ზაზა კილაძე** - ისტორიის დოქტორანტი, (საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია);
14. **თამთა აბრამიძე** - ისტორიის დოქტორანტი (მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა)

მატერიალური რესურსი

პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აუდიტორიებში ლექციებისა და პრაქტიკულ-სემინარული სამუშაოების მაღალ დონეზე ჩატარებას, უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

მიმართულებისათვის არსებობს ელექტრონული სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. პროგრამას გააჩნია სამეცნიერო ჟურნალების, ცალკეული სამეცნიერო სტატიების კოლექცია. არსებობს კომპიუტერული კლასი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ემსახურება მომხმარებელს. გარდა ამისა, სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ ლექტორ-მასწავლებლების მიერ შედგენილი სალექციო კურსებით როგორც ელექტრონული, ისე ქსერო ასლების ვერსიებით, რომელთა გავრცელებასაც უზრუნველყოფს თვით უნივერსიტეტი. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით.

სასწავლო გეგმა															
№	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება				კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				ლოქცია	ჯგუფში მუშაობა	რეიტინგული წერები	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი
	ძირითადი სპეციალობა	180													
1	საუნივერსიტეტო საგნები	40													
1.1	აკადემიური წერა (ზოგადი კურსი)	3	30	9	17	2	2	3							
1.2	ფილოსოფიის შესავალი (ზოგადი კურსი)	3	30	15	12	1	2	3							
1.3	ფსიქოლოგიის საფუძვლები (ზოგადი კურსი)	2	20	14	3	1	2	2							
1.4	ქართული ლიტერატურის ისტორია	5	45	15	27	1	2	5							
	ინგლისური ენის ნულოვანი დონე	20													
	უცხო ენა (ინგლისური) A 1	5	44		40	1	3	5							
	უცხო ენა (ინგლისური) A 2	5	44		40	1	3		5						
	უცხო ენა (ინგლისური) B 1-1	5	44		40	1	3			5					
1.5	უცხო ენა (ინგლისური) B 1-2	5	44		40	1	3				5				
1.6	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	4	40	15	20	2	3	4							
1.7	ქართული ხუროთმოძღვრება (ზოგადი კურსი)	3	30	15	12	1	2	3							
2	სპეციალობის საგნები	110													
2.1	ისტორიის შესავალი	5	45	30	12	1	2	5							
2.2	ძველი აღმოსავლეთის ისტორია	5	45	30	12	1	2		5						
2.3	ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია	5	45	30	12	1	2			5					
2.4	საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე)	5	45	30	12	1	2		5						
2.5	საქართველოს ისტორია (XIII-XVIII სს)	5	45	30	12	1	2			5					
2.6	საქართველოს ისტორია (XIX-XXI სს)	5	45	30	12	1	2				5				
2.7	საქართველოს არქეოლოგია	5	45	30	12	1	2				5				
2.8	საქართველოს ეთნოლოგია	5	45	30	12	1	2				5				
2.9	მსოფლიოს შუა საუკუნეების ისტორია	5	45	30	12	1	2					5			
2.10	ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია	5	45	30	12	1	2			5					
2.11	ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1918-1939 წწ.)	5	45	30	12	1	2				5				
2.12	ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1945-2001 წწ.)	5	45	30	12	1	2					5			
2.13	აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია	5	45	30	12	1	2						5		

2.14	მახლობელი ადმოსავლეთის ისტორია	5	45	30	12	1	2					5			
2.15	რუსეთის ისტორია	5	45	30	12	1	2				5				
2.16	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია	5	45	30	12	1	2		5						
2.17	ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია	5	45	30	12	1	2			5					
2.18	დამხმარე ისტორიული დისციპლინები	5	45	30	12	1	2		5						
2.19	საარქივო-სამუზეუმო საქმე	5	45	30	12	1	2						5		
2.20	კავკასიის ხალხთა ისტორია	5	45	30	12	1	2			5					
2.21	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია	5	45	30	12	1	2		5						
2.22	ქართული დიპლომატიის ისტორია	5	45	30	12	1	2						5		
3	არჩევითი საგნები	20												15	5
3.1	ქართული პალეოგრაფია	5	45	30	12	1	2								
	ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია	5	45	30	12	1	2								
	კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი	5	45	30	12	1	2								
	მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია	5	45	30	12	1	2								
	ძვ. ბერძნული ენა	5	45	30	12	1	2								
	გლიპტიკა	5	45	30	12	1	2								
	საბაკალავრო ნაშრომი	10													10
	დამატებითი სპეციალობა ირჩევს სტუდენტი	60										15	15	15	15
	სულ	240							30	30	30	30	30	30	30

შენიშვნა ინგლისური ენის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით

ინგლისური ენის სწავლება მოიცავს სულ 20 კრედიტს. ინგლისური ენის სწავლება ხდება სტუდენტთა ცოდნის დონის მიხედვით შემდეგი სქემის შესაბამისად:

1. ნულოვანი დონის სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-1 საფეხურით და აგრძელებენ A-2 დონით თანმიმდევრულად.
2. საბაზო დონის მქონე სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-2 დონით და აგრძელებენ B-1 დონეს თანმიმდევრულად.

სწავლის შედეგების რუკა								
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	აკადემიური წერა (ზოგადი კურსი)	3	+	+	+	+	+	
2	ფილოსოფიის შესავალი (ზოგადი კურსი)	3	+		+		+	+
3	ფსიქოლოგიის საფუძვლები (ზოგადი კურსი)	2	+	+	+	+	+	+
4	ქართული ლიტერატურის ისტორია	5	+	+	+	+	+	+
5	ინგლისური ენის ნულოვანი დონე	20	+	+	+	+	+	+
	უცხო ენა A 1	5	+	+	+	+	+	+
	უცხო ენა A 2	5	+		+			+
	უცხო ენა B 1-1	5	+		+	+		+
	უცხო ენა B 1-2	5	+	+	+	+	+	+
6	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	4	+		+	+		+
7	ქართული ხელოვნების ისტორია (ზოგადი კურსი)	3	+	+	+	+	+	+
8	ისტორიის შესავალი	5	+	+	+	+	+	+
9	ძველი აღმოსავლეთის ისტორია	5	+	+	+	+	+	+
10	ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია	5	+	+	+	+		+
11	საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე)	5	+	+	+			+
12	საქართველოს ისტორია (XIII-XVIII სს)	5	+	+	+			+
13	საქართველოს ისტორია (XIX-XXI სს)	5	+	+	+	+	+	+
14	საქართველოს არქეოლოგია	5	+	+	+	+	+	+
15	საქართველოს ეთნოლოგია	5	+	+	+	+		+
16	დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორია	5	+	+	+			+
17	ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია	5	+	+	+	+	+	+
18	ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია	5	+	+	+		+	+
19	აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია	5	+	+	+		+	+
20	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა	5	+	+	+		+	+
21	ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია	5	+		+		+	+
22	დამხმარე ისტორიული დისციპლინები	5	+		+		+	+
23	საარქივო-სამუზეუმო საქმე	5	+	+			+	+
24	კავკასიის ხალხთა ისტორია	5	+	+		+	+	+
25	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია	5	+	+	+	+		+
26	ქართული დიპლომატიის ისტორია	5	+	+				
27	ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია	5	+	+				+

28	სოციოლოგიის საფუძვლები							
30	ქართული პალეოგრაფია	5	+	+	+		+	+
31	მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია	5	+	+	+			+
32	ძვ. ბერძნული ენა	5	+	+	+		+	+
33	კულტურული ანთროპოლოგია	5						
34	გლიპტიკა	5						